

განახლებადი ენერგია საქართველოში



GREDA - 2024



საქართველოს ენერგეტიკის ისტორია

- საქართველოს ენერგოისტორია 1899 წლის 15 იანვარს, ბორჯომჰესის აშენებით დაიწყო. მისი სიმძლავრე 60 კვტ-ს შეადგენდა, რაც დღეს, დაახლოებით 12 საცხოვრებელი ბინის მომარაგებას უდრის;
- მეფის რუსეთის პერიოდში საქართველოში სულ აგებული იყო ცხრა მცირე ჰესი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, სამწუხაროდ ეს პატარა ენერგომეურნეობაც ნაწილობრივ დაინგრა და განადგურდა;



საქართველოს ენერგეტიკის ისტორია

- მეფის რუსეთის პერიოდში საქართველოში ელექტროსადგურების, განსაკუთრებით ჰიდროსადგურების, მშენებლობას ყურადღება არ ექცეოდა. სულ აგებული იყო ცხრა მცირე ჰიდროელექტროსადგური.
- მეფის რუსეთის დროს აშენებულ ჰესებშიშედიოდა ბოლნისის ჰესი სიმძლავრით 60 ცხ.ძ (81,4 კვტ), გაგრის - 810 ცხ.ძ (1101,6 კვტ), ბიჭვინთის - 45 ცხ.ძ (61,2 კვტ), ახალი ათონის - 180 ცხ.ძ. (244,8 კვტ), ბესლეთის - 600 ცხ.ძ (816 კვტ), ახალქალაქის - 120 ცხ.ძ.(163,2 კვტ) და ორი პატარა ჰესი აჭარაში.
- საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო როგორც შედარებით დიდი, ასევე მცირე ჰესების მშენებლობა. 1928 წელს მდ. აბაშაზე აიგო 1.7 მგვტ სიმძლავრის ჰესი. 1940 წლისათვის ქვეყანაში მოქმედი სადგურების რიცხვა 100-ს მიაღწია. განსაკუთრებით ფართო ტემპით გაიშალა მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1963 წლისათვის მათი რიცხვი 250-ს შეადგენდა, 1970-იანი წლების ბოლოსთვის კი 400-ს.



საქართველოს ენერგეტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

- 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. უწყურადღებობის და მოუვლელობის გამო სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა გენერაციის ობიექტები, ელექტროგადამცემი ხაზები, გაზის მილები და მათთან დაკავშირებული მეურნეობებები.
- საერთო ჯამში საქართველოში 2001 წლიდან 2020 წლამდე 54 ჰესი აშენდა, აქედან 41 მცირე ხოლო 13 საშუალო და დიდი ჰესია.
- ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ახალი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა.
- საქართველოში 2001 წლიდან 2020 წლამდე აშენებული ჰესების ჯამური ინვესტიცია, დაახლოებით 2 მლრდ აშშ დოლარია, საერთო 1303 მგვტ დადგმული სიმძლავრით
- საქართველოში ამჟამად 107 ჰესია ექსპლუატაციაში, საერთო დადგმული სიმძლავრით 3359.4 მგვტ



ენგურჰესი

- 1961 წელს ამიერკავკასიის ყველაზე დიდი ჰესის ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო. 17 წლის შემდეგ 1978 წელს დაიწყო ენგურჰესის ექსპლუატაციაში ეტაპობრივი გაშვება, სრული სიმძლავრით 1300 მვატ, კი 1983 წელს ამოქმედდა
- ენგურჰესი დღემდე ითვლება უნიკალურ ნაგებობად მისი თაღოვანი კაშხალი სიმაღლით 271.5 მ, მე-20 საუკუნეში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი იყო მსოფლიოში.
- ენგურჰესის მშენებლობა ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიაში ყველაზე თამამი ჩანაფიქრის განხორციელება იყო.




ჟინვალჰესი

- 1985 წელს საქართველოში კიდევ ერთი დიდი წლიური რეგულირების ჰიდროელექტრო სადგური ჟინვალჰესი გაეშვა ექსპლუატაციაში, ჟინვალის ჰიდროკომპლექსი თბილისის მოსახლეობის თითქმის ნახევარს სასმელი წყლითა ამარაგებს. ჟინვალზე არსებული ჰესის მიერ გამომშავებული ელ.ენერგია კი საირიგაციო და სასმელი წყლით მომარაგების სისტემებს ხმარდება.
- ჟინვალის წყალსაცავის სარკის ფართობი 11,5 კმ²-ა, მაქსიმალური სიღრმე: 45 მ, მაქსიმალური სიღრმე - 75 მ.
- ჟინვალ ჰესის დადგმული სიმძლავრე კი 130 მგვტ.
- ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობისას წყლის ქვეშ მოექცა XII საუკუნის ჯვარიპატიოსნის სახელობის ეკლესია, რომელიც 6 თვე წყალშია მოქცეული, ხოლო 6 თვის განმავლობაში მისი დანახვა შესაძლებელია



საქართველოს ელ.ენერგიის გენერაციის წყაროები



ენერგობალანსი



- <1 მგვტ – 21 ჰესი
- 1-10 მგვტ – 60 ჰესი
- 10 მგვტ> – 36 ჰესი, 1 ქესი, 5 თესი
- საერთო დადგმული სიმძლავრე- 4596.4 მგვტ

- ჰესების საერთო დადგმული სიმძლავრე- 3394 მგვტ:

წყალსაცავიანი ჰესები 1993.1 მგვტ;
სეზონური რეგულირების ჰესები 1100.1 მგვტ;
მცირე ჰესები (<15 მგვტ) 301.0 მგვტ.

- თბოელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე- 1181.4 მგვტ:


ორთქლის ტურბინები 572.0 მგვტ;
CCGT 486.2 მგვტ;
ბუნებრივი აირის ტურბინები 110.0 მგვტ;
ქვანახშირის ტურბინები 13.2 მგვტ.

- განახლებადები (წყლის გარდა) - 20.7 მგვტ:

ქარის სადგური 20.7 მგვტ.


საქართველოს ენერგობალანსი

- იმის გამო, რომ საქართველოს გენერაცია უმეტესწილად სეზონურ ჰესებზეა დამოკიდებული, ენერგეტიკული ზამთრის თვეებში, როცა მდინარეებში წყალი კლებულობს, საქართველოს გენერაციაც დაბლა იწევს. ამასთან ერთად კი ზამთრის თვეებში ელ.ენერგიაზე მოთხოვნა საგრძნობლად იზრდება. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სხვაობა ელ.ენერგიაზე დეფიციტს ქმნის და საქართველოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტის განხორციელება უწევს.
- დეფიციტური ენერგიის შესავსებად საქართველო ელ.ენერგიას თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან ყიდულობს.




გაზრდილი მოთხოვნა იმპორტით იფარება

ადგილობრივი გენერაციის წილი 2014-2022 წლებში 74% -დან 68%-მდე შემცირდა



ელ.ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა იმპორტით ან თბოელექტროსადგურების გაზრდილი გენერაციით იფარება, რომლებიც იმპროტირებულ ბუნებრივ აირზე მუშაობენ


ელ.ენერგიის მოხმარების ზრდის სიჩქარე ორჯერ აღემატება ახალი სადგურების შენების სიჩქარეს



2010 წლიდან მხოლოდ 700 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდრო და ქარის სადგურები აშენდა, როცა მოხმარების ზრდის შესავსებად დამატებით 1500 მგვტ სიმძლავრე იყო საჭირო



მოხმარების ზრდა




- საქართველოს მოხმარება ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ, Galt&Taggart-მა და USAID-მა 2030 წლისთვის საქართველოს მოხმარების ზრდის პროგნოზები დათვალეს. არსებული კვლევებით საქართველოს მოხმარება 2030 წლისთვის 20-25 მლრდ კვტ.სთ-ს მიაღწევს.
- ახალი გენერაციის ობიექტების, ანუ ახალი სადგურების აშენების გარეშე საქართველოს არსებული დანაკლისის მეზობელი ქვეყნებიდან ელ.ენერგიის იმპორტით მოუწევს.
- გაზრდილი მოთხოვნის გამო 2021 წელს უკვე გაიზარდა იმპორტის განხორციელების პერიოდიც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰესების სეზონურობის გამო ზამთარში გვიწვედა ელ.ენერგიის იმპორტი და ეს ზამთარი წელიწადში 8 თვეს შეადგენდა. 2021 წელს კი იმპორტის განხორციელება 10 თვე გაგრძელდა.




მოხმარების ზრდა - იმპორტი

- განახლებადი ენერგიის სადგურების გენერაცია, შესაძლოა გარკვეულ მომენტებში ჰიპოთეტურ დეფიციტზე ნაკლებიც კი იყოს. ასეთ დროს საქართველოს ძალიან დიდი რაოდენობით იმპორტის განხორციელება მოუწევს, რასაც შესაძლოა ჩვენმა ელექტროსისტემამ ფიზიკურადაც კი ვერ გაუძლოს.
- ამასთან ერთად, დიდი რაოდენობით იმპორტი საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან დიდი ზეწოლაა. 2021 წელს საქართველომ დეფიციტური ენერგიის იმპორტში 47.6 მლნ აშშ დოლარი გადაიხადა.



საქართველოს გადამცემი ხაზები

- საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზები:
- ე.გ.ხ. სალხინო - 220 კვ - რუსეთი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა)
- ე.გ.ხ. კავკასიონი - 500 კვ - რუსეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ხ. ჯავა - 110 კვ - რუსეთი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა)
- ე.გ.ხ. სტეფანწმინდა-მოზდოკი - 500 კვ - რუსეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ხ. დარიალი - 110 კვ - რუსეთი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა)
- ე.გ.ხ. მუხრანის ველი - 500 კვ - აზერბაიჯანი (საქრუსენერგო, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა)
- ე.გ.ხ. გარდაბანი - 300 კვ - აზერბაიჯანი (გარდაბანი)
- ე.გ.ხ. მარნეული-აირუმი 500 კვ - სომხეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ხ. ალავერდი 220 კვ - სომხეთი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა)
- ე.გ.ხ. მესხეთი 400 კვ - თურქეთი (ენერგოტრანსი)
- ე.გ.ხ. აჭარა 220 კვ - თურქეთი (საქრუსენერგო)



იმპორტის ღირებულების პროგნოზი

		Jan	Feb	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec	Total
		2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	2030	
ადგილობრივი მოხმარება	GWh	2,029	1,774	1,995	1,707	1,705	1,598	1,694	1,805	1,642	1,782	1,867	2,089	21,686
იმპორტი	\$ mln.	112.5	98.8	101.9	51.3	6.7	-	26.1	55.3	48.8	54.5	70.4	97.7	724
								მოხმარების ზრდა						5.0%
								გენერაციის ზრდა						2.0%
								იმპორტის ტარიფი(Usd/kWh)						9.0
იმპორტის ტარიფი ყოველწლიურად იზრდება. 2022 წლის იმპორტის 9 აშშ ცენტის ტარიფის ყოველწლიური 3%-იანი ზრდით და								ყოველწლიური ზრდა						3.0%
								წელი						2030

- იმპორტის ტარიფი ყოველწლიურად იზრდება. 2022 წლის იმპორტის 9 აშშ ცენტის ტარიფის ყოველწლიური 3%-იანი ზრდით, თუ მოთხოვნა ყოველწლიურად 5%-ით, ხოლო გენერაცია 2%-ით გაიზრდება, 2030 წლისთვის იმპორტში ყოველწლიურად 724 მლნ აშშ დოლარის გადახდა მოგვიწევს.

შეჩერებული პროექტები

88 შეჩერებული პროექტი

62%

სოციალური პროტესტი

პროექტის შეჩერების მთავარი მიზეზი ადგილობრივი მოსახლეობისა და თემის პროტესტი გახდა. მრავალი პროექტი ამ პრობლემის წინაშე წლებია.

17%

ხელშეწყობის მექანიზმი

სოციალური პროტესტის შემდეგ პროექტების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული მიზეზი.

21%

სხვა პრობლემები


მიწის რეგისტრაცია, ნებართვები, პანდემია და სხვა.

ამ მიზეზით შეჩერებული პროექტების უმრავლესობა ჰესებია (84 პროექტი)

პროექტებისთვის საჭირო კომუნიკაციის ნაკლებობის გამო, **ქვეყანამ შეაჩერა 4 მლრდ დოლარზე მეტი ინვესტიცია** და მომდევნო 5 წლის განმავლობაში 20 000 სამუშაო ადგილის შექმნის პერსპექტივა.

განახლებადი ენერგიის რესურსი

- საქართველოს ენერგომომხმარებლის ყველაზე მძაფრად ზრდის შემთხვევაშიც კი, საქართველოს აქვს პოტენციური მხოლოდ ჰიდრორესურსის საშუალებით დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნა და მეტიც - გაყიდოს ელ.ენერგია ქვეყნის გარეთ, ექსპორტზე გატანით.
- საქართველოს ყველაზე დიდი რესურსი წყლის ენერგიაში აქვს. საქართველოში 60.000 კმ სიგრძის 26.000 მდინარეა.
- 2021 წელს ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგიის დირექტორატის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკურად სარგებლიანი ჰიდრო პოტენციური, მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესებისთვის - 56 მლრდ კვტ.სთ. ქვეყანას საკუთარი პოტენციალის მხოლოდ 22% აქვს ათვისებული.
- მხოლოდ ჰიდრო პოტენციალის ათვისებით საქართველოს ელ.ენერგიის იმპორტში ყოველწლიურად უზარმაზარი რაოდენობის თანხის გადახდის სანაცვლოდ ელ.ენერგიის ექსპორტზე გატანით ძალიან დიდი ფინანსური სარგებლის ნახვა შეუძლია.



ათვისებული განახლებადი ენერგიის პოტენციალი



ჰიდრო პოტენციალი
22%



ქარის პოტენციალი
1.7%



მზის პოტენციალი
0%




საქართველოს განახლებადი ენერგიების რესურსი

- მზის ენერგია - 695 გვტ.სთ;
- ქარის ენერგია - 4680 გვტ.სთ;
- წყლის ენერგია - 56 000 გვტ.სთ;

ამ რესურსების ათვისება ქვეყნის
ენერგოუსაფრთხოებისა და
ენერგოდამოუკიდებლობის გარანტიაა.



ყოველწლიური შემოსავლის თეორიული სპეკულაცია:




- თუ 2030 წლისთვის ჭარბი 36 მლრდ კვ.სთ ენერგიას 26.7 თეთრად გავყიდით ქვეყანას ჭარბი ელ.ენერგიის ექსპორტით 9.6 მლრდ ლარის სარგებლის ნახვა შეუძლია. ბიუჯეტში აქედან მინიმუმ 1.92 მლრდ აშშ დოლარი შევა.
- ექსპორტზე გატანილი 36 მლრდ კვტ.სთ ენერგიის 1.5 ცენტად გადაცემის სახით, ქვეყნის ელექტროსისტემაში დამატებით 1.5 მლრდ ლარის სარგებელი შემოვა.
- 2021 წლისთვის (საბალანსო მექანიზმების ამუშავების შემდეგ), საქართველოს ენერგოსისტემაში შესაძლებელია 1167 გვტ.სთ ქარისა და 170 გვტ.სთ მზის სადგურების ინტეგრირება (პოტენციალის 25%);



2022 წლის ექსპორტი

თურქეთში ელ.ენერგიის ექსპორტი და ტრანზიტი, ტვტ.სთ




- ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა თურქეთში ელ.ენერგიაზე ტარიფის ზრდამ გამოიწვია
- 2022 წლის საქართველოს საერთო ექსპორტი მოცულობაში 153.7%-ით გაიზარდა და 1.0 ტვტს-ს მიაღწია, ფინანსურმა ზრდამ 436.5%-ს (5.4-ჯერ მეტს) მიაღწია და 84.3 მლნ აშშ დოლარი გახდა.

- თურქულ ბაზარზე ელ.ენერგიის ფასი 2022 წელს თითქმის გასამმაგდა.
- თურქეთის საშუალო თვიური ბაზრის ფასი 5.6 აშშ ცენტიდან კვტ.სთ-ზე 2021 წელს 15.1 აშშ ცენტამდე გაიზარდა 2022 წელს. რეკორდული ფასი 22 სექტემბერს დაფიქსირდა და კვტ.სთ-ზე 21 აშშ ცენტი შეადგინა.
- თურქეთში ელ.ენერგიის ექსპორტიდან საქართველოს ექსპორტიორებმა 79.6 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღეს (წინა წელთან შედარებით 10.3-ჯერ მეტი).



2022-2023 წწ რეკორდული ექსპორტი


ელ.ენერგიის ექსპორტი, გვტ.სთ და მიღებული შემოსავლები ქვეყნის მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



- 2023 წლის 9 თვეში რეკორდული 103.2 მლნ აშს დოლარის 1468 გვტ.სთ ელ.ენერგიაა ექსპორტირებული. ძირითადი საექსპორტო ბაზარი კვლავ თურქეთია.
- თურქული ლირის გაუფასურება და ბუნებრივ აირზე მაღალი ფასები ელ.ენერგიის ფასზე აისახა, რაც ექსპორტირებუსთვის დამატებითი სტიმულია. თურქეთიდან სატრანზიტო და საექსპორტო ვაჭრობამ 2022 წელს 4 ტვტს.სთ-ს მიაღწია, ხოლო 2023 წლის 9 თვეში 3.3 ტვტ.სთ-ს შეადგენს.

ელ.ენერგიის ტარიფი საქართველოსა და ევროპაში

- ევროკავშირში ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოზე 2-ჯერ მაღალია



ელ.ენერგიის სამომხმარებლო ტარიფი (გადასახადის გარეშე) საქართველოში და სხვა ქვეყნებში ევრო/კვტ.სთ 2018 წ.




ფინანსური მხარდაჭერის ინიციატივა

ფასთა სხვაობის ხელშეკრულების მხარდამჭერი მექანიზმის პირველი აუქციონი 2023 წელს ჩატარდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ CFD-ით 300 მგვტ სადგურების მშენებლობა დაამტკიცა. პირველ აუქციონზე სამინისტრომ 900 მგვტ დადგმული სიმძლავრის ოდენობის 78 აპლიკაცია მიიღო.

 153 მგვტ მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესი (15 პროექტი)

 77 მგვტ ქარის სადგურები (10 პროექტი)


 70 მგვტ მზის სადგურები (2 პროექტი)




- 2023 წლის ბოლოს აუქციონის მეორე ფაზა გამოცხადდა.
- CFD-ის მხარდაჭერის მექანიზმით ჯამში 1500 მგვტ სადგურების განვითარება დაგეგმილი.

გასული წლების ტარიფის დინამიკა

- ელ.ენერგიის ტარიფი საქართველოში 2018-2023 წლებში 4-დან 6 აშშ ცენტამდე მერყეობდა.
- ელ.ენერგია ყველაზე იაფი ზაფხულის თვეებში, მაისში და ივნისშია.
- ელ.ენერგია ყველაზე ძვირი ოქტომბრის თვიდან მარტის თვემდეა.
- წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი ელ.ენერგიის ტარიფი - 6.21 აშშ ცენტი.
- წლების განმავლობაში ყველაზე დაბალი ელ.ენერგიის ტარიფი - 2.52 აშშ ცენტი.



ბაზრის რეფორმა



ბაზრის ამუშავების თარიღი - 1 ივლისი, 2024 წელი

← დღით ადრე ბაზარი

✓ დღიური ბაზარი

სიმულაციური ვაჭრობა DAM-ის და საბალანსო და დამხმარე სერვისების ბაზარზე გრძელდება სემეკ-ის დადგენილებით. სემეკის დადგენილება არეგულირებს გარდამავალ ზომებს საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ამოქმედებამდე. გარდა ამისა, GENEX ახდენს ვაჭრობის სიმულაციას შიდადღის ბაზარზე.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი



1000-1500 მგვტ სიმძლავრის 1195 კმ სიგრძის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საქართველოსა და რუმინეთს შორის მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას. წყალქვეშა კაბელი ასევე აღჭურვილი იქნება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით.

პროექტის სავარაუდო გაშვების წელი 2030 წელია, სავარაუდო ღირებულება კი 2,3 მილიარდ ევროს შეადგენს.

ამჟამად, პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. შესწავლის დასრულების ვადა 2023 წლის ბოლოა. კაბელის საბოლოო მდებარეობაც კვლევის ფარგლებში განისაზღვრება.

ენერგოუსაფრთხოება

- ენერგეტიკული უსაფრთხოება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და გულისხმობს ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივ, გარანტირებულ და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ უზრუნველყოფას, საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის ენერგეტიკული რესურსით.
- ქვეყნის აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება მისაწვდომ ფასად უწყვეტად შეიძინოს ელექტროენერგია, საწვავი - ნავთობი, გაზი და სხვა ენერგო რესურსები, როგორც მოკლევადიან (ტექნიკური შეფერხების, დივერსიების და საგანგებო მდგომარეობის წინააღმდეგ დაცულობა) ასევე გრძელვადიანი პერსპექტივაში (მოთხოვნის ზრდის პირობებში ახალი წყაროების განვითარება, იმპორტის ხელმისაწვდომობა და ოპტიმალური ფასების უზრუნველყოფა).
- ენერგოუსაფრთხოება არის ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველი.



- ენერგოუსაფრთხოება არის ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველი.
- ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუღებელია ენერგოუზრუნველყოფა სხვა (ეკონომიკური, გარემოს, ტერიტორიული, პოლიტიკური თუ სხვა) ეროვნული ინტერესების ხარჯზე.
- აბსოლუტური ენერგეტიკული უსაფრთხოება, არ არსებობს, ყოველთვის არის ენერგომომარაგების შეფერხების, შეწყვეტის, ან გაძვირების რისკი; საჭიროა, რომ ეს რისკები კონტროლს ექვემდებარებოდეს და არ იწვევდეს ქვეყნისთვის კრიტიკულ საფრთხეებს.
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას საქართველოს მთავრობა სემეკთან და სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის უსაფრთხო და საიმედო მიწოდება



- ენერგო დამოუკიდებლობა ნიშნავს, როცა ქვეყანას აქვს საკმარისი შიდა რესურსი იმისთვის, რომ ენერგეტიკულ რესურსებზე საკუთარი მოთხოვნა დააკმაყოფილოს.
- ანუ, ქვეყანა სრულიად ენერგოდამოუკიდებელია, როცა ელ. ენერგიას და წიაღისეულ საწვავს: ნავთობს, გაზს, ქვანახშირს, ურანს და ა.შ. საკუთარ ქვეყნაში მოიპოვებს და მას არ სჭირდება სხვადასხვა რესურსები სხვა ქვეყნებიდან შეიძინოს.
- თუმცა, სრულიად ენერგო დამოუკიდებელი ქვეყანა პრაქტიკულად არ არსებობს მცირე წილით მაინც სხვადასხვა რესურსზე დამოკიდებული ყველა ქვეყანა მაინც არის.
- ევროპის ყველაზე ენერგოდამოუკიდებელი ქვეყნებია:

Country	2000	2020
 Malta	100.2%	97.6%
 Cyprus	98.6%	93.1%
 Luxembourg	99.6%	92.5%
 Greece	69.1%	81.4%
 Belgium	78.2%	78.0%
 Lithuania	57.8%	74.9%
 Italy	86.5%	73.5%
 Ireland	85.4%	71.3%
 Netherlands	38.3%	68.1%
 Spain	76.8%	67.9%
Average	56.3%	57.5%

თქვენი აზრით რამდენად აუცილებელია, რომ
საქართველომ განახლებადი ენერგიის რესურსები
აითვისოს?

